

## Case Study GCG LTD - ასფალტის ქარხანა


EU4Business-EBRD-ის საკრედიტო ხაზის მეშვეობით შპს "GCG"-იმ შეძლო ინვესტიცია განხორციელებინა ახალი ასფალტის ქარხნის შექმნასა და დამონტაჟებაში, ელექტრო მოწყობილობების განახლებასა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის დამონტაჟებაში. ასევე პროექტის ფარგლებში აღებული სესხისა და ტექნიკური დახმარების შედეგად კომპანიამ გააუმჯობესა შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სტანდარტები. კერძოდ, კომპანიამ შეიძინა დაცვის ინდივიდუალური საშუალებები ქარხნის ოპერატორებისათვის, ჩაატარა შესაბამისი სწავლება და ტესტირება თანამშრომლებისათვის. ასევე ჩატარდა რისკის შეფასება და მოხდა ადგილის ინსპექტირება ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის ინსტალაციის უზრუნველსაყოფად. განხორციელებული ინვესტიციის შედეგად კომპანიამ შეამცირა სამუშაო ადგილზე საფრთხე და ჰაერის დაბინძურება, ხოლო ამავდროულად აამაღლა წარმოებული პროდუქტის ხარისხი. დღეს შპს "GCG" ერთ-ერთი ასფალტის მწარმოებელი ქარხანაა ევროპაში, რომელიც მოწყობილია გარემოსდაცვითი ნორმებისა და სტანდარტების გათვალისწინებით.

### განხორციელებული ინვესტიციები:

- ასფალტის ქარხანა
- ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა
- ტექნიკური და სასმელი წყლით მომარაგება
- შრომის უსაფრთხოების სტანდარტების გაუმჯობესება

### ინვესტიციების მოცულობა:

- სესხის ოდენობა - 820 000 ევრო
- გრანტის მოცულობა (15%) – 123 000 ევრო



### ევროკავშირის დირექტივებთან თანხვედრა:

- საბჭოს დირექტივა 96/62 / EC - ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასებისა და მონიტორინგის შესახებ (ჰაერის ხარისხის ჩარჩო დირექტივა).
- დირექტივა 2010/75 / EU - ინდუსტრიულ ემისიებზე (დაბინძურების ინტეგრირებული პრევენცია და კონტროლი).
- რეგულაცია (EU) No 305/2011- სამშენებლო პროდუქციის შესყიდვის ჰარმონიზებული პირობების ჩამოყალიბება - შესწორებული საბჭოს დირექტივა 89/106 / EEC.
- დირექტივა 2014/35 / EU - წევრი ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობების ჰარმონიზაციასთან დაკავშირებით, რომელიც ძაბვის განსაზღვრული ლიმიტების ფარგლებში მომუშავე ელექტრომოწყობილობის ბაზარზე ხელმისაწვდომობას განსაზღვრავს.
- 2006/42 / EC დირექტივა მანქანა / დანადგარების შესახებ და დამატებითი 95/16 / EC დირექტივა